

ჯორჯიან მანგანუმი - კომპანიის პროფილი

2015 წელს „მწვანე ალტერნატივამ“ გამოსცა ანგარიში „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში“; 2017 წლის დასაწყისში გამოიცა ანგარიშის განახლებული ვერსია. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას შევაფასეთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობა და მოვამზადეთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული სანარმოს პროფილი. ესენია: (1) არემჯი (2) ჯორჯიან მანგანუმი (3) საქნახშირი; და (4) ჰაიდელბერგცემენტი. ეს დოკუმენტი ჯორჯიან მანგანუმის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

ჭიათურის მანგანუმი

სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში არსებული მანგანუმის საბადოები გამოირჩევა მადნის მაღალი ხარისხით, დიდი სამრეწველო მარაგით და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით. ჭიათურის საბადოს ექსპლუატაცია ჯერ კიდევ 1879 წელს დაიწყო. 1990 წლამდე მოპოვებული იქნა 203 მლნ. ტონა ნედლი მადანი და მოხდა 108 მლნ. ტონა სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია.

1990 წლიდან მანგანუმის მოპოვება მკვეთრად შემცირდა, განსაკუთრებით 1996-1998 წლებში. 1993 წელს სანარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმი“. „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზებისა და რეაბილიტაციის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ჭიათურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით 2005 წელს გაიხსნა სანარმოო გაკოტრების საქმის წარმოება.

2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებული აუქციონის შედეგად, ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში გამარჯვა ვაჭრობის ერთადერთმა მონაწილემ - „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედმა“, რომელიც მანამდე ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მფლობელი გახდა.

გარიგების გაფორმებისას, „ჯორჯიან მანგანუმ ჰოლდინგ ლიმიტედი“ საკმაოდ ცნობილი ბრიტანული კომპანიის სტემკორის შვილობილი კომპანია იყო. 2006 წლის ბოლოსთვის სტემკორმა ჰოლდინგის 75% უკრაინულ „პრივატ ჯგუფს“ მიყიდა. ეს ჯგუფი საქართველოში „ტაო-პრივატ ბანკის“ მფობელი იყო 2007-2014 წლებში. უკრაინული პრესის თანახმად, ჯგუფი „პრივატი“ ერთ-ერთი ყველაზე დახურული და არაგამჭირვალე კომპანიაა, მისი დამფუძნებლები იგორ კოლომოისკი და გენადი ბოგოლუბოვი უკრაინის უმდიდრეს ადამიანთა ხუთეულში შედიან.

2008 წელს „ჯორჯიან ბიზნეს კონსალტინგის“ ვებ-გვერდზე უკრაინულ წყაროზე დაყრდნობით გამოქვეყნდა სტატია, რომლის თანახმად, გენადი ბოგოლუბოვი ავსტრალიური მანგანუმის მოპოვებელი კომპანია Consolidated Minerals-ის ბაზაზე საერთაშორისო ჰოლდინგის შექმნას გეგმავდა, სადაც შესაძლოა ქართული "ჭიათურმანგანუმიც" გაერთიანებულიყო. სტატიაში აღნიშნული იყო: „როგორც უკრაინელმა ბიზნესმენმა ბოგოლუბოვმა მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში

განაცხადა (წყარო [www. ukrudprom.com](http://www.ukrudprom.com)), ჰოლდინგში ამ ეტაპზე მხოლოდ უცხოური აქტივების გაერთიანება იგეგმება. პირველ ეტაპზე Consolidated Minerals-ში გაერთიანდება განაში არსებული აქტივი - Ghana Manganese. შემდეგ შესაძლებელია ქართული "ჭიათურმანგანუმის", ამერიკული ფეროშენადნობი ქარხნის Highlanders Alloys-ის და რუმინული Feral CA-ს გაერთიანებაც. ბოგოლიუბოვის განმარტებით, მისმა კომპანიამ, Palmary Enterprises Ltd-მა გასული წლის დეკემბერში მანგანუმის მომპოვებელი მსოფლიოში უმსხვილესი ავსტრალიური კომპანია Consolidated Minerals 1,3 მლრდ ავსტრალიურ დოლარად (1,2 მლრდ აშშ დოლარი) იყიდა, რაც მის კომპანიას ფეროშენადნობების მსოფლიო ბაზრის 30%-ის გაკოტროლების საშუალებას მისცემს“.

გეგმის შესაბამისად, 2013 წელს „პრივატ“ ჯგუფმა „ჯორჯიან მანგანები“ (ყოფილი ჭიათურმანგანუმი და ზესტაფონის ფერო) და „ჯორჯიან მანგანუმის“ საკუთრებაში არსებული ვარციხეჰესების კასკადი თავის ამერიკულ ჰოლდინგზე Georgia American Alloys-ზე გადააფორმა; თუმცა, ქართულ საზოგადოებას ეს ფაქტი გააცნეს, როგორც სანარმოებში ახალი „მენეჯმენტის მოსვლა“. შესაბამისად, „ახალმა მენეჯმენტმა“ ყველაფერი ცუდი „ძველ მენეჯმენტს“ გადააბრალა და პრობლემების მოგვარების პირობა დადო. სხვადასხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული სტატიების თანახმად, 2016 წლის ბოლოსთვის უნდა ამოქმედებულიყო ახალი სამთო-გამამდირებელი კომბინატი, რომლის მშენებლობა ზოგიერთო წყაროს მიხედვით 20 მილიონი აშშ დოლარი, ზოგის თანახმად, კი 40 მილიონი ჯდება ; თუმცა, 2016 წლის ბოლოს კომპანიას გარემოზე ზემოქმედების ნებართვაც კი არ აქვს მოპოვებული.

ძველი პრობლემები

ჭიათურა

ჭიათურის სამთო-გამამდირებელი კომბინატის დღეისათვის მოქმედი ფაბრიკებიდან ყველაზე ახალი აშენებულია 1962 წელს, ხოლო ყველაზე ძველი - 1935 წელს. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ფაბრიკის ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მნიშვნელოვან ტექნოგენურ დატვირთვას და ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვნად სახეცვლილია.

სანარმოო ჩამდინარე წყალი, რომელიც მადნის რეცხვის პროცესში წარმოიქმნება, დიდი რაოდენობით შეიცავს შენონილ ნაწილაკებს და მანგანუმის ნაერთებს და მცირე რაოდენობით სხვა მიკროელემენტებს. ჩამდინარე წყლების განმენდის მიზნით ფაბრიკებთან მოწყობილია სალექარები და დორები, სადაც ხდებოდა შენონილი ნაწილაკების (შლამის) დალექვა, რის შემდეგაც წყალი ბრუნდებოდა გამამდირებელ ფაბრიკებში მეორადი გამოყენებისათვის. ფაბრიკებიდან შლამის გასატანად მოწყობილი იყო შლამსადენი (ორი პარალელური მილსადენი), რომლის საშუალებითაც შლამი მიეწოდებოდა ცენტრალურ ფლოტაციურ ფაბრიკებს, სადაც ხდებოდა შლამიდან მანგანუმის კონცენტრატის გამოყოფა. დარჩენილი შლამი გადაიტუმბებოდა ე.წ. “ღურღუმელას” წყალსაცავზე. “ღურღუმელას” წყალსაცავში ხდებოდა შლამის დალექვა, რის შემდეგაც განმენდილი წყალი ბრუნდებოდა მეორადი გამოყენებისათვის.

ამჟამად ჭიათურის სამთო გამამდირებელი კომბინატის არცერთ გამამდირებელ ფაბრიკას არ გააჩნია მოქმედი განმენდი ნაგებობა, ხოლო ადრე არსებული შლამსადინარები მწყობრიდანაა გამოსული. შესაბამისად, “ღურღუმელას” შლამსაცავი დღეისათვის უმოქმედო მდგომარეობაშია.

ფაბრიკებში მწყობრიდან გამოსულია სალექარებისა და დორების უმრავლესობა, ხოლო შლამსადენი საერთოდ აღარ არსებობს და გამამდიდრებელი ფაბრიკების ჩამდინარე წყლები განმენდის გარეშე ჩაედინება მდ. ყვირილაში, რაც იწვევს მდინარის წყლის შენონილი ნაწილაკებით და მანგანუმის ნაერთებით დაბინძურებას.

2008 წლის 9 თვის განმავლობაში მდ. ყვირილაში და მის შენაკადებში ჩაშვებული იქნა 375 961 ტონა შლამი (მშრალ წონაზე გადაანგარიშებით), რაც დაახლოებით შეადგენს 501 281,3 ტ/წელს.

ყვირილას დაბინძურების დამატებითი წყარო არის ასევე აგლომერატის სანაყარო, რომელზეც ხდება გამამდიდრებელი ფაბრიკა “ცდფ“-ის მიერ სხვადასხვა ფაბრიკების შუალედური პროდუქტების გადამუშავების შემდგომ მიღებული აგლომერატის განთავსება. ეს არის შუალედური ნარჩენი, რომელიც საშუალოდ შეიცავს 15.4% მანგანუმს და გამდიდრების ტექნოლოგიების გაუმჯობესების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისგან მანგანუმის კონცენტრატის მიღება. სანაყარო მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე განთავსებული. 2008 წლისთვის სანაყაროზე დასაწყობებული იყო დაახლოებით 805 ათასი ტონა აგლომერატი. ტერიტორია არ არის შემოღობილი.

„გარემოს მდგომარეობის შესახებ“ 2010-2013 წლების ეროვნული ანგარიშის თანახმად „2013 წლის მონაცემებით, მდინარე ყვირილაზე აღინიშნება მანგანუმის კონცენტრაციის გადაჭარბება, რაც მანგანუმის სამთო-მოპოვებით მრეწველობას უკავშირდება. წერტილში ქვედა ჭიათურა, მანგანუმის კონცენტრაცია დასაშვებ ზღვარს 6-ჯერ აღემატება. დაახლოებით იგივე სურათი იკვეთება 2010-2012 წლებშიც“.

გაცილებით მასშტაბურ პრობლემებს ქმნის მანგანუმის მოპოვება. ჭიათურისა და საჩხერის რაიონების ტერიტორიაზე განვითარებული მეწყრული პროცესების გააქტიურება ძირითადად დაკავშირებულია მანგანუმის საბადოს დამუშავებასთან. საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება გამოწვეულია როგორც კარიერების დამუშავებით, ისე სამუშაოების დამთავრების შემდგომ, რეკულტივაციის ჩუტარებლობით. საშიში გეოდინამიკური პროცესების გარდა, მანგანუმის მოპოვებას უკავშირდება ჰაერის, ნიადაგის, წყლის მნიშვნელოვანი დაბინძურება, ხმაური და ამ ყველაფრის მავნე ზემოქმედება ადამიანების ჯანმრთელობაზე.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, 2013-2014 წლებში შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ საქმიანობის შედეგად (როგორც ლიცენზიის ფარგლებში ნიაღვრისარგებლობისას, ისე გამამდიდრებელი საწარმოს მუშაობის შედეგად) გარემოსთვის მიყენებული ზიანმა 357,364,708 ლარი შედგინა, აქედან:

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის არ განხორციელდა გამამდიდრებელი ფაბრიკის საწარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდების მოწყობა. დაბინძურებული წყლები გაუნმენდავად ჩაედინება მდ. ყვირილაში - 30 799 860 ლარი; - საგულისხმოა, დაბინძურება გრძელდება დღემდე;
- ლიცენზიის კონტურში (რგანის მადარო) შემავალ სახელმწიფო ტყის ფონდში ხე-ტყის უკანონო ჭრა 2,3ჰა-ზე მოთხრილი ხე-ტყე - 158 832 ლარი;
- ლიცენზიის ფარგლებში (პერევი, რგანი, ითხვისი, ზედა ითხვისი) მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას მიწის (ნიადაგის) დეგრადაცია - 2 079 582 ლარი;

- ლიცენზიით სარგებლობისას მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნის და ნიადაგის დეგრადაციის, მდინარის დაბინძურების ფაქტი - 324 326 434 ლარი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2014 წელს გადაამოწმა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის 2013 წლის 6 მარტის ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილ ვადებში შპს „ჯორჯიან მანგანების“ მიერ გამამდიდრებელი საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების მდგომარეობა. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ნებართვის პირობების დარღვევის გამო დაკისრებული ვალდებულებები კვლავ არ იყო შეუსრულებლი; ამიტომ ჯორჯიან მანგანებს დაეკისრა ჯარიმა 15 000 (ნებართვის პირობების განმეორებით დარღვევის გამო ჯარიმის გასამმაგებელი ოდენობა) ლარის ოდენობით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 17 სექტემბრის No5297 წერილით კომპანიას განმეორებით განესაზღვრა გონივრული ვადები და დაუდგინდა ის ვალდებულებები, კერძოდ:

- დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში განეხორციელებინა გამამდიდრებელი ფაბრიკების საწარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდი ნაგებობის სალექარის მოწყობა;
- დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში სრულად მოეწესრიგებინა გამამდიდრებელი ფაბრიკის ყველა შლამმემსქელებლის გამართულად მუშაობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
- 3 თვის ვადაში დაესრულებინა საწარმოს ლაბორატორიის მოწყობის სამუშაოები და უზრუნველყო მისი მუშა მდგომარეობაში მოყვანა;
- აგლომერატის სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით დაუყოვნებლივ დაეწყო და 6 თვის ვადაში დაესრულებინა სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების მოწყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის აგება;
- დაუყოვნებლივ დაეწყო ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მადნის გამდიდრების ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად.

ზემოთ მოცემული ვადები კომპანიის თხოვნით, სამინისტროს 2014 წლის 22 დეკემბრის No7428 წერილით თავდაპირველად გაუგრძელდა 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო მოგვიანებით, ასევე, კომპანიის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სამინისტროს 2015 წლის 30 დეკემბრის No9540 წერილით გაუგრძელდა 2016 წლის 1 ივლისამდე.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „ჯორჯიან მანგანებს“ 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით კვლავ შესრულებული არ ჰქონდა ზემოაღნიშნული ვალდებულებები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 2016 წლის 2 ივლისს კვლავ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი. ოქმის საფუძველზე ამჯერად კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 45 000 ლარის ოდენობით (ანუ ერთხელ უკვე გასამმაგებელი საწყისი 5000 ლარიანი ჯარიმის, კვლავ გასამმაგებელი ოდენობა).

სამინისტროს განმარტებით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თუ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი სანებართვო პირობების შესრულება, ნებართვის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაუქმების შესახებ“. თუმცა, სამინისტრო იქვე მიუთითებს, რომ „ამასთან, მოცემული მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „თუ ნებართვის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ნებართვის მოქმედების გაგრძელებამ, ან არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ნებართვის გამცემი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ნებართვის მფლობელისათვის მის მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი სანებართვო პირობების შესრულება“.

2016 წლის 5 ივლისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრომ გამოსცა ბრძანება „შპს „ჯორჯიან მანგანები“-სთვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების დაცვით სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე“. ბრძანების თანახმად, სამინისტროს მიაჩნია, რომ „საწარმო წარმოადგენს ქალაქ ჭიათურასა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის ძირითად დასაქმების წყაროს, ხოლო მისთვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება გამოიწვევს მნიშვნელოვან სოციალურ კრიზისს... გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოცემულ შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება და ამით ნებართვის მფლობელისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვერ უზრუნველყოფს შექმნილი რთული ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებას, ხოლო ნებართვის მფლობელისთვის დამატებითი გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაკისრება და მათი აღსრულების მონიტორინგი არსებული მდგომარეობის გამოსწორების მეტ შესაძლებლობას იძლევა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 ივლისის №334 ბრძანების შესაბამისად, შპს „ჯორჯიან მანგანებს“ მიენიჭა სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება 2017 წლის 31 დეკემბრამდე ზემოთ მოცემული ვალდებულებების შესრულებისა და ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობის პირობით.

ამრიგად, შპს „ჯორჯიან მანგანებს“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დადგენილი პირობების შესრულებისათვის დაწესებული „გონივრული ვადა“ 2013 წლის მარტიდან დღემდე 4-ჯერ გადაუვადდა.

ზესტაფონი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ოპერირება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდებოდა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონის თანახმად, საწარმოს ნებართვა 2010 წლის 1 იანვრამდე (ეს თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა და ამჟამად 2017 წლის 1 ივნისია) სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის) შესაბამისად უნდა მოეპოვებინა. თუმცა, დღეის მდგომარეობით საწარმოს ნებართვა არ გააჩნია.

ახალი საწარმო

2014 წლის ნოემბერში „ჯორჯიან მანგანეზმა“ საჯარო განხილვისთვის გამოაქვეყნა ჭიათურაში მანგანუმის მადნის ახალი გამადიდრებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ახალი პროექტის მთავარი ნაკლოვანება წარმოების ნარჩენების - შლამის განთავსების მოუგვარებელი პრობლემა იყო.

ჭიათურის მანგანუმის გამდიდრების ნარჩენების უსაფრთხოდ განთავსების პრობლემა საბადოს ექსპლუატაციის დაწყების მომენტიდან არსებობს. „გასული საუკუნის 60-იან წლებში დაისვა საკითხი გამდიდრების ნარჩენები დასაწყობებელიყო ცალკე და ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად თავიდან ყოფილიყო აცილებული „კუდებში“ დარჩენილი მანგანუმის დანაკარგები... სისტემის მშენებლობა დამთავრდა 1980 წლის ბოლოს. ობიექტის ოფიციალური გაშვება მოხდა 1981 წლის ... ობიექტის საბეიმო გახსნის დამთავრებიდან 60-70 საათის შემდეგ, ჰიდროსატრანსპორტო სისტემა არამუშაუნარიანი გახდა, მწყობრიდან გამოვიდა ტუმბოები, უშედეგოდ იქნა დახარჯული 10 მილიონამდე მანეთი; საკუდე მეურნეობა გახდა არაქმდითი - მუშაუნარო“. კუდსაცავის პრობლემების კომპლექსური შესწავლის შედეგად მოხდა სისტემის მოდერნიზაცია; თუმცა, განახლებულმა სისტემამ მხოლოდ 1992 წლამდე იმუშავა. „ამის შემდეგ ცნობილ პოლიტიკურ მიზეზთა გამო ფუნქციონირება შეწყვიტა და დღემდე გამდიდრების „კუდები“ კვლავ ყვირილაში ჩაედინება“.

2014 წელს ჯორჯიან მანგანეზის მიერ საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კომპანია ახალი საწარმოსათვის ნარჩენების განთავსების ორ ალტერნატივას განიხილავდა: 1. ღურღუმელას შლამსაცავს - რომელიც უკვე დიდი ხანია მწყობრიდან არის გამოსული 2. დალახაურის შლამსაცავი - რომლის მშენებლობის წინააღმდეგი იყო ადგილობრივი გამგეობა და სოფელ ითხვისისა და სოფელ შუქრუთის მოსახლეობა - ძირითადად, მავნე ზემოქმედების საფრთხისა და სოფლებთან სიახლოვის გამო.

საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი დოკუმენტი კომპანიას ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის აღარ წარუდგენია.

2016 წლის დასაწყისში ჯორჯიან მანგანეზმა კვლავ გამოაქვეყნა დოკუმენტაცია საჯარო განხილვისთვის, თუმცა საწარმოს ნარჩენების განთავსების პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. 2016 წლის თებერვალში კომპანიამ ჩაატარა „საჯარო განხილვა“, რომლის შესახებ არ იყო ინფორმირებული ადგილობრივი მოსახლეობა. შეხვედრის ჩატარების შესახებ განცხადებაც კი არ იყო გამოკრული შენობის ფასადზე.

2016 წლის 26 დეკემბერს კომპანიამ მიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოსაპოვებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის კონცეპტუალური პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, ე.წ. დალახაურის ხევში დაგეგმილია შლამსაცავის მოწყობა, რისთვისაც დღეისათვის მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია. შლამსაცავის მშენებლობა მოხდება ფაბრიკის მშენებლობის პარალელურად და მათი ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილია ერთდროულად. საპროექტო შლამსაცავის მოსაწყობად შერჩეული ხეობა მდებარეობს საპროექტო გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიასთან ახლოს, დაახლოებით 500-600 მ-ის დაცილებით. შესაბამისად, შლამსაცავის მოწყობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდება ტრანსპორტირებასთან

დაკავშირებული გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების რისკები. დალახაურის შლამსაცავში ნარჩენების ტრანსპორტირება მოხდება შლამსადენი მილსადენებით და სპეციალური ავტომანქანებით“. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის თანახმად, შლამსაცავის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია, ინფორმაცია ამის შესახებ არ არის წარმოდგენილი გზმ ანგარიშში; ასევე, არ არის წარმოდგენილი შლამსაცავის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება. აღნიშნულის საფუძველზე, მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და მოუწოდა არ გაეცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, ვინაიდან გარემოზე ზემოქმედების შეფასება უნდა მოხდეს სრული საწარმოო ციკლის, რომლის განუყოფელი ნაწილია შლამსაცავი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ არ გაიზიარა მწვანე ალტერნატივას მოსაზრება და 2017 წლის 10 იანვარს გასცა დადებითი [ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა](#).

კომპანიის სხვა სამართალდარღვევები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა სამმართველოს ინფორმაციით „მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის #092310115001 საქმეზე, შპს „ჯორჯიან მანგანები“-ს ხელმძღვანელ პირთა მიერ უკანონო სამენარმეო საქმიანობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის გამო, კერძოდ უკანონო სამენარმეო საქმიანობა, რომელიც ჩადენილია ჯგუფურად“.

2016 წლის ოქტომბერის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ბრალდებით, შპს „ჯორჯიან მანგანების“ იურისტი მირიან ბიჭიკაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით საქმე შეეხებოდა შპს „ჯორჯიან მანგანების“ მიერ უკანონო სამენარმეო საქმიანობის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის (რომელიც 350 მილიონ ლარს აჭარბებდა) საკითხს. „აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე სასამართლო განხილვის პროცესში, შპს „ჯორჯიან მანგანების“ მიერ, დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენისა და გარემოზე მიყენებული ზიანის განსაზღვრის მიზნით, სსიპ „გრიგოლ ნულუკიძის სამთო ინსტიტუტთან“ გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, საექსპერტო ჯგუფის წევრებთან უშუალო ურთიერთობა დაევალა შპს „ჯორჯიან მანგანების“ ერთ-ერთ იურისტს. ბრალდებულმა, ექსპერტიზის მიმდინარეობის პროცესში, საექსპერტო დასკვნაში მათთვის სასურველი, ყალბი მონაცემების დაფიქსირების მიზნით, კომერციული მოსყიდვის გზით ექსპერტიზის განმახორციელებელ პირს გადასცა გარკვეული ოდენობის თანხა“. საქმეზე გრძელდება გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც კომერციული მოსყიდვისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე.

ჯილდო

2016 წლის 10 ნოემბერს, ზემოაღწერილი მოვლენებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, მედია ჰოლდინგ Georgian Times-მა და საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების კომპანია GORBI-მ, 2015-2016 წლების შემაჯამებელი ბიზნეს-რეიტინგის მე-17 ცერემონიალი გამართა, სადაც „საქართველოში მოღვაწე საუკეთესო კომპანიები და ბიზნესმენები გამოავლინა“. „ჯორჯიან ემერიქენ ელოზი“ წლის საუკეთესო კომპანიად - ‘საინვესტიციო მიმზიდველობის’, ‘სამუშაო უსაფრთხოების და

ეკოლოგიური ნორმების უმაღლესი სტანდარტის' და 'კორპორატიული პასუხისმგებლობის' ნომინაციაში დასახელდა.

საგულისმობა, რომ დაჯილდოვებაზე ვრცელი სიტყვით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუციაშვილი გამოვიდა, ხოლო კომპანიის წარმომადგენელს ჯილდო ქართული ოცნების" დეპუტატმა, არჩილ თალაკვაძემ გადასცა. მოგვიანებით დეპუტატმა განაცხადა, რომ არ იცის იმსახურებდა თუ არა კომპანია ამ ჯილდოსს .

რა ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას კომპანია

ჯორჯიან მანგანებს, რომელიც ყოფილ ჭიათურმანგანუმს და ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანას აერთიანებს და არის შპს „ვარციხე 2005“-ის მფლობელი (ვარციხეპესების კასკადი), აქვს ვებ-გვერდი <http://www.gaalloys.ge/>. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია კომპანიების შესახებ და კომპანიების მმართველი გუნდის წევრების შესახებ. კომპანიის სიახლეები ქვეყნდება ყოველთვიურ კორპორატიულ გაზეთში „ინდუსტრიული მაცნე“, რომელიც კომპანიის მიერ აქტიურად ვრცელდება სოციალური ქსელის მეშვეობით. ასევე, კორპორატიულ გაზეთში მითითებული ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივ ტელეარხებზე (იმერვიზია, არგო TV და დრო) გადის ყოველკვირეული გადაცემა „ინდუსტრიული მაცნე“, რომელიც ასევე, ვრცელდება youtube-ის და facebook-ის მეშვეობით.

ჯორჯიან მანგანების საკუთრებაში არსებული საწარმოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია და/ან თავად დოკუმენტები არ არის ხელმისაწვდომი კომპანიის ვებ-გვერდზე. ასევე, არ არის ხელმისაწვდომი ჯორჯიან მანგანების საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობაზე და სოციალურ მდგომარეობაზე გავლენის, ამ გავლენის შემსუბუქებისათვის გათვალისწინებული ქმედებების და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მართვის გეგმები, რაიმე სახის რჩევები ან მითითებები მოსახლეობისთვის კომპანიის მიერ წარმოებული სამუშაოების შესახებ. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საწარმოების საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქე პრომლეური საკითხის მოგვარებისათვის, ვის უნდა მიმართოს საწარმოს საქმიანობის შედეგად დაზარალების შემთხვევაში. **კომპანიის ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია.**

რა ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი საჯარო უწყებებიდან

კომპანიის შესახებ ზემოთმოყვანილი ინფორმაცია მწვანე ალტერნატივას მიერ მოძიებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან სხვადასხვა დროს მოთხოვნილ დოკუმენტებში. ჯორჯიან მანგანგანის საკუთრებაში არსებული საწარმოების გარემოზე ზეგავლენის შესახებ ინფორმაცია მოთხოვნის გარეშე არ არის ხელმისაწვდომი სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ვებ-გვერდზე.

მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომ დოკუმენტებში ერთადერთი გამონაკლისია „გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშები“, რომელიც დიდი დაგვიანებით ქვეყნდება და მასში მოცემული ინფორმაცია ნაკლებად ინფორმატიულია. ასე მაგალითად, უკანასკნელ ანგარიშში, რომელიც 2016 წლის ბოლოს გამოქვეყნდა (მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის 2016 წლის 15 სექტემბრის ბრძანებით

დამტკიცდა) აღწერს 2010-2013 წლებში არსებულ მდგომარეობას და სულ ორ მსგავსი შინაარსის აბზაცს მოიცავს ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების გამო მდ. ყვირილას დაბინძირებასთან დაკავშირებით:

‘საქართველოში ამჟამად მოქმედი სამთო-მოპოვებელი საწარმოებიდან გარემოს ერთერთი ძლიერი დამაბინძურებელია მანგანუმის მოპოვება.მას თან ახლავს მდ. ყვირილას დაბინძურება მანგანუმის იონებით. მაგალითად, 2009 წლის იანვარში ქ. ჭიათურის შესასვლელთან, მდ. ყვირილას წყალში მანგანუმის იონების შემცველობა 3,9 მგ/ლ დაფიქსირდა (მანგანუმის იონის ბღვრულად დასაშვები კონცენტრაცია წყლებში 0,1 მგ/ლ-ია). მოპოვების ადგილიდან დაწყებული მდინარის ქვემო წელი და მისი მომიჯნავე მიწები მთლიანად დაბინძურებულია იმ ნიშნულამდე, სადაც განზავება ხდება. საწარმოო დაბინძურება განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ მდინარე თავის მხრივ რეცხავს მადნიან ჰორიზონტებს და მასში ბუნებრივად მომატებულია მანგანუმის იონების შემცველობა“.

„2013 წლის მონაცემებით, მდინარე ყვირილაზე აღინიშნება მანგანუმის კონცენტრაციის გადაჭარბება, რაც მანგანუმის სამთო-მოპოვებით მრეწველობას უკავშირდება. წერტილში ქვედა ჭიათურა, მანგანუმის კონცენტრაცია დასაშვებ ბღვარს 6-ჯერ აღემატება. დაახლოებით იგივე სურათი იკვეთება 2010-2012 წლებშიც“.



დოკუმენტი მომზადებულია მწვანე ალტერნატივას პროექტის „ადვოკატირება ბუნებრივი რესურსების გამჭირვალე და ანგარიშვალდებული მართვისათვის საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნას ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებათა ამსახველად.



© მწვანე ალტერნატივა, 2017

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ: (995 32) 222 38 74; 222 15 74

GREENALT@GREENALT.ORG

WWW.GREENALT.ORG